ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

ოქტომბერი 2022

საქართველო

საქართველოს დაცულ ტერიტორიებში ვიზიტების დინამიკის მიმოხილვა

Research

www.pmcresearch.org

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

საქართველო

ოქტომბერი 2022

- **სათავგადასავლო ტურიზმი**, რომელიც მოიცავს ვიზიტებს ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებსა და დაცულ ტერიტორიებზე, ტურიზმის სექტორის ღირებულების ჯაჭვებს შორისაა. ზოგადად, ისეთი საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა, რომელიც მოიცავს ბუნების მონახულებას, შიდა ვიზიტებთან შედარებით გაცილებით მაღალია.
- 2022 წლის II კვარტალში ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებისთვის **საერთაშორისო ვიზიტებმა შეადგინა პანდემიამდელი მაჩვენებლის 62%, ხოლო შიდა ვიზიტებმა 54%-ით გადააჭარბა პანდემიამდელ მაჩვენებელს**, რაც შეიძლება შიდა ვიზიტორების პანდემიით გამოწვეული ქცევითი მახასიათებლების შეცვლითა და ადგილობრივი მოთხოვნის გაზრდით აიხსნას.
- დაცული ტერიტორიების სააგენტოს მონაცემებით, **პანდემიამდე საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტების რაოდენობა მკვეთრად იზრდებოდა.**
- **2022 წლის პირველ 9 თვეში** დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტების რაოდენობა აღდგა 2019 წლის მაჩვენებლის 66%-მდე. ამავე პერიოდში დაცული ტერიტორიების საერთაშორისო **ვიზიტორთა უმეტესობა იყო რუსეთიდან** (83 286 ვიზიტორი) და **ბელარუსიდან** (48 422). ყველაზე პოპულარული დანიშნულების ადგილი იყო მარტვილის კანიონი, რომელსაც მოსდევდა პრომეთეს მღვიმე და წალკის კანიონი.

- 2022 წლის ოქტომბერში საქართველოში **სასტუმროს ფასების ინდექსი (HPI)** 2022 წლის სექტემბერთან შედარებით 7.6%-ით გაიზარდა, ხოლო 2021 წლის ოქტომბერთან შედარებით -13.2%-ით. ამ პერიოდში, წინა წელთან შედარებით, განსაკუთრებით საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები გაიზარდა (40.3%).

საერთაშორისო მოგზაურობის დინამიკა

- **საერთაშორისო მოგზაურთა**[1] რიცხვი 2022 წლის ოქტომბერში 125.9%-ით გაიზარდა, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, და 36.3%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

- **საერთაშორისო ვიზიტორების**[2] რაოდენობა 115.2%-ით გაიზარდა (2022/2021) და 33.4%-ით შემცირდა (2022/2019), ხოლო **საერთაშორისო ტურისტების**[3] რაოდენობა 82.6%-ით გაიზარდა (2022/2021) და 21.5%-ით შემცირდა (2022/2019).



წყარო: საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია

- 2022 წლის ოქტომბერში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობით გამოირჩეოდნენ **რუსეთი** (109 158 ვიზიტი), **თურქეთი** (81 033 ვიზიტი) და **სომხეთი** (72 877 ვიზიტი).

- საქართველოს მსხვილ ტურისტული ბაზრებს შორის, **ბელარუსიდან** (121.8%), **საუდის არაბეთიდან** (66.6%) და **ტაილანდიდან** (43.9%) საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 2019 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა **თურქეთიდან** (-6.6%) და **რუსეთიდან** (-7.7%) 2019 წლის ამ პერიოდის ნიშნულს მიუახლოვდა.

1 საერთაშორისო მოგზაურები მოიცავს იმ ადამიანებს, ვინც გადაადგილდებიან გეოგრაფიულ ადგილმდებარეობებს შორის ნებისმიერი მიზნითა და ხანგრძლივობით. აღნიშნული ტერმინი მოიაზრებს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის რეზიდენტები და არ მოიცავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არიან საქართველოს რეზიდენტები.
2 საერთაშორისო ვიზიტორი არის მოგზაური, რომელიც ტოვებს საკუთარ ჩვეულ საცხოვრებელს 1 წელზე ნაკლები პერიოდითა და ნებისმიერი მიზნით (ბიზნესი, დასვენება და სხვა პირადი მიზანი) გარდა ვიზიტის ქვეყანაში რეზიდენტ დანესებულებაში დასაქმებისა. საკუთარ საცხოვრებელში მოიაზრება გეოგრაფიული არეა, სადაც პიროვნება ახორციელებს მის რეგულარულ ცხოვრების რუტინას. ამის გათვალისწინებით, სტატისტიკა არ მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც 8 ან მეტ ვიზიტს ახორციელებენ საქართველოში.
3 ვიზიტორი (ადგილობრივი, უცხოელი და გამყვანი) კლასიფიცირდება როგორც ტურისტი, თუ მისი მოგზაურობა მოიცავს ღამისთევას.
4 გაითვალისწინეთ, რომ საერთაშორისო ვიზიტორთა სტატისტიკის დათვლისას გამოყენებულია ვიზიტორთა მიერ საქართველოს დატოვების მონაცემები, შესაბამისად აღნიშნული სტატისტიკა სრულად არ ასახავს 2022 წლის შესაბამის თვეში შემოსული ვიზიტორების რაოდენობას.

ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების საერთაშორისო და შიდა ვიზიტები

- **სათავგადასავლო ტურიზმი** ტურისტული სექტორის ღირებულების ჯაჭვებს შორისაა[5]. სათავგადასავლო ტურიზმის აქტივობები ხშირად მოიცავს ვიზიტებს ეროვნულ პარკებში, დაცულ ტერიტორიებსა და ქვეყნის სხვა ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებში. აქედან გამომდინარე, საინტერესოა გასული წლების განმავლობაში საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტების დინამიკის ანალიზი.

- ზოგადად, **საერთაშორისო ვიზიტები**, რომლებიც მოიცავს ეროვნული პარკების, ნაკრძალების, ბუნების, ლანდშაფტის და უცნობი და ეგზოტიკური ადგილების მონახულებას აღემატება **შიდა ვიზიტების** შესაბამის წილს. მაგალითად, 2019 წელს საერთაშორისო ვიზიტების 16.2% მოიცავდა ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების მონახულებას, მაშინ, როცა შიდა ვიზიტორებისთვის ეს რიცხვი იყო 3.6%.

- **2022 წლის I კვარტალში** ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებში საერთაშორისო ვიზიტებმა შეადგინა შესაბამისი პერიოდის პანდემიამდელი (2019) მაჩვენებლის 49%, ხოლო **2022 წლის II კვარტალში** ამ მაჩვენებელმა 62%-ს მიაღწია. 2022 წლის I კვარტალში შიდა ვიზიტებმა შეადგინა 2019 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლის 53%, თუმცა 2022 წლის II კვარტალში შიდა ვიზიტების რაოდენობამ 54%-ით გადააჭარბა პანდემიამდელ მაჩვენებელს.

საერთაშორისო ვიზიტები, რომლებიც მოიცავს ეროვნული პარკების, ბუნების, ლანდშაფტის, უცნობი და ეგზოტიკური ადგილების მონაცულებას მოიცავს და მათი წილი მთლიან საერთაშორისო ვიზიტებში (2019 - II კვ. 2022)



შიდა ვიზიტები, რომლებიც მოიცავს ეროვნული პარკების, ბუნების, ლანდშაფტის, უცნობი და ეგზოტიკური ადგილების მონაცულებას მოიცავს და მათი წილი მთლიან შიდა ვიზიტებში (2019 - II კვ. 2022)



წყარო: საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია

*გაითვალისწინეთ, რომ კოვიდ-19-ის გავრცელების გამო 2020 წლის მეორე კვარტლიდან 2022 წლის პირველი კვარტლის ჩათვლით საერთაშორისო ვიზიტორთა გამოკითხვის საველე სამუშაოები არ ხორციელდებოდა.

5 მეექვსე ანალიტიკური <u>რეპორტი</u>: სექტორებისა და ღირებულებათა ჯაჭვების ანალიტიკა საქართველოში - პი ემ სი კვლევითი ცენტრი და ISET-ის ავტორობით USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტების დინამიკა

- დაცული ტერიტორიების სააგენტოს მონაცემებით, საქართველოში დაცულ ტერიტორიებზე **ვიზიტორთა რაოდენობა პანდემიამდე მკვეთრად იზრდებოდა.** 2016 წლიდან 2019 წლამდე ვიზიტორების ზრდის საშუალო ტემპი იყო 24%, რასაც 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, მოჰყვა 80%-იანი ვარდნა.

- **თუმცა 2021 წელს ვიზიტორთა რაოდენობა პანდემიამდელი (2019) რაოდენობის 49%-მდე აღდგა**. 2022 წელს აღდგენა გაძლიერდა და 2022 წლის 9 თვეში მან გადააჭარბა წინა წლის ვიზიტორების წლიურ რაოდენობას და აღდგა 2019 წლის მთლიანი მაჩვენებლის 66%-მდე.

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტების დინამიკა (2016-2022 9 თვე)



- 2022 წლის 9 თვეში დაცული ტერიტორიების **საერთაშორისო ვიზიტორთა უმეტესობა იყო რუსეთიდან** (83 286 ვიზიტორი), **ბელარუსიდან** (48 422), **არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან** (40 307), **ყაზახეთიდან** (37 180) და **საუდის არაბეთიდან** (34 817). პანდემიამდე, 2019 წელს, დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტების რაოდენობით ლიდერობდა რუსეთი, რომელსაც მოჰყვებოდა ისრაელი, პოლონეთი, გერმანია და უკრაინა.

- 2022 წლის პირველ 9 თვეში ყველაზე მეტი ვიზიტორი **მარტვილის კანიონში** დაფიქსირდა, რომელსაც მოსდევს **პრომეთეს მღვიმე**, **წალკის კანიონი** და **სათაფლიის მღვიმე**. ამავდროულად, მათ ყველაზე ნაკლებად მოინახულეს ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი (1 205), მაჭახელის ეროვნული პარკი (661), მარიამჯვრის დაცული ტერიტორიები (161) და აჯამეთის აღკვეთილი (4).

დაცული ტერიტორიები ვიზიტორთა რაოდენობის მიხედვით (2022 წლის 9 თვე)



წყარო: საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო

სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

- საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[6] 2022 წლის ოქტომბერში, 2022 წლის სექტემბერტან შედარებით, 7.6%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 9.2%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 7.7%-ით შემცირდა.
- თვიური ინდექსი ყველაზე მაღალი სამეგრელო-ზემო სვანეთში (2.0%) აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები კი აჭარასა (-19.9%) და შიდა ქართლში (-14.6%).
- 2022 წლის ოქტომბერში, 2021 წლის ოქტომბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 13.2%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 9.7%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 40.3%-ით გაიზარდა.
- წლიური ინდექსი ყველაზე მაღალი იყო შიდა ქართლსა (51.1%) და გურიაში (26.5%), ყველაზე ნაკლები კი ქვემო ქართლში (4.9%).

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2022 ოქტ/ 2022 სექ	2022 ოქტ/ 2021 ოქტ	2022 ოქტ/ 2022 სექ	2022 ოქტ/ 2021 ოქტ	2022 ოქტ/ 2022 სექ	2022 ოქტ/ 2021 ოქტ
კახეთი	-3.5%	15.1%	-10.1%	2.6%	-1.4%	19.8%
იმერეთი	-0.7%	12.9%	-1.6%	2.3%	0.4%	23.6%
გურია	-9.4%	26.5%	-9.4%	14.8%	-	53.7%
ქვემო ქართლი	0.0%	4.9%	0.0%	10.0%	-	0.0%
აჭარა	-19.9%	17.9%	-23.0%	14.7%	-8.2%	24.5%
რაჭა	0.0%	10.8%	-	-	0.0%	10.8%
შიდა ქართლი	-14.6%	51.1%	0.0%	24.9%	-19.0%	101.1%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2.0%	17.1%	-0.3%	10.8%	3.6%	23.7%
სამცხე-ჯავახეთი	-4.2%	12.3%	-9.8%	7.3%	-0.9%	20.3%
მცხეთა-მთიანეთი	-8.0%	5.8%	-7.6%	6.0%	-8.5%	5.7%
თბილისი	-3.5%	11.2%	-3.4%	9.6%	-5.6%	58.2%
სულ ფასების % ცვლილება	**-7.6%**	**13.2%**	**-9.2%**	**9.7%**	**-7.7%**	**40.3%**

6 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი რეგიონისთვის (როგორიცაა შიდა ქართლი და რაჭა), საკმაოდ მცირეა მონაცემთა ბაზაში არსებული სასტუმროების რაოდენობა, შესაბამისად ინდექსი სრულად ვერ ასახავს რეგიონში არსებულ სასტუმროს ფასების ცვლილების ტენდენციას.

სასტუმროს საშუალო ფასები

- 2022 წლის ოქტომბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[7] **163 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **255 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[8] საშუალო ფასმა ოქტომბერში **121 ლარი** შეადგინა.

- 5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ოქტომბერში **428 ლარი** შეადგინა. კახეთში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 570 ლარი შეადგინა, თბილისში - 564 ლარი, გურიაში - 531, ხოლო აჭარაში - 378.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2022 ოქტომბერი, ლარი)



7 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

8 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	2020	I 2021	II 2021	III 2021	IV 2021	2021	I 2022	II 2022	III 2022
მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)	1054.1	1437.5	1800.0	2223.0	1204.5	213.1	439.2	604.4	527.0	1783.6	360.9	536.2	-
საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1747.1	134.7	351.3	815.4	579.8	1881.3	576.5	1049.4	2266.7
ტურისტების რაოდენობა (ათასი)	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	1087.0	116.6	305.8	670.4	484.7	1577.5	456.0	749.3	2082.6
საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	541.7	53.6*	246.1*	566.0*	379.3*	1244.9*	393.7*	748.8*	-
ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)	386.3	463.6	524.7	657.2	180.5	19.7*	37.1*	62.6*	64.5*	184.1*	72.2*	103.5*	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)	120.0	112.4	105.2	130.4	-248.0	-1.0	-5.6	6.4	-2.7	2.9	11.3*	10.8*	-

* პირველადი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არაალსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
უმცროსი მკვლევარი
n.kajaia@pmcginternational.com

სოფიო მკერვალიძე
სტაჟიორი
s.mkervalidze@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org